

572  
1953

საბჭოთავო  
გრაფიკა



დედა

„დედი, ტერა გეგანე,  
იღსნი, იერი შინე,  
და შინე, კარგული, სრულია  
სამსილი კახინე.“

საქართველოს ბლკ ცენტრალური კომიტეტის  
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მსორჩლოკანათობის  
ბავშვებისთვის

№ 5

1953



ირაკლი აბაშიძე

## გამარჯვების დღე

ჰო, შენ იცი,  
მაგრამ იქნებ  
ბევრმა ბავშვმა ვერ არ იცის  
გამარჯვების დღის ზეიმი,—  
სიღიაღე ცხრა მაისის.

ბევრი, ბევრი თქვენთაგანი  
დაიბადა მხოლოდ მაშინ  
და არ იცის, რა ზეიმი  
იღვა იმ დღეს მთა და ბარში;

რა სინათლე კრთოდა თვალში,  
რა სიამე ფეთქდა გულში,  
რა ძახილი, რა სიმღერა  
გუგუნებდა ჩვენს მამულში.

გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთ,  
ჩვენმა ხალხმა დასცა მტერი  
და მონობას ააშორა  
სხვა ქვეყანაც ბევრზე ბევრი.

ცხრა მაისი!..  
ეს დღე ყველგან  
დაიხსომონ ყაჩაღებმა,  
რომ კვლავ ვერვინ ვერ გაბედოს  
ომის ცეცხლის გაჩაღება.



# 1 მაისი

აპრილიც იყო მზიანი  
და იღვა თბილი დარი,  
მაგრამ მაისის ნათელი  
მაინც სხვაგვარი არის.

ღეღაქალაქი თბილისი  
წითელ დროშებში ბრწყინავს,  
ასეთ დროს, ჩემო კარგებო,  
ვინმე დარჩება შინა?

— მაისის მზეო, სალომი! —  
ვარჩევ ნორჩების ძახილს...  
ბერიას მოედნისაკენ  
მიღის ნაკადი ხალხის.

თქვენც ჟრიაშულით მიჰყვებით  
ამ უსასრულო ნაკადს,  
ხარობთ, თვითეულ თქვენთაგანს  
თვალი მიუგავს ვარსკვლავს.

ხელში ამაყად გიპყრიათ  
ალამი აღისფერი,  
და მღერით უკვდავ ლენინზე,  
უკვდავ სტალინზე მღერით.

იმღერეთ, იმზიარულეთ,  
მთა-ბარს გასძახეთ ლხენით,  
თქვენს უღამაზეს ბავშვობას  
იცავს სამშობლო ჩვენი!

საბა ბეჟულაძე



ნახატი გ. ფოხნივაილისა





ნ. ახალიანოვა

ნახატები რ. ხუციშვილისა

## მეგობრის სიტყვა

პატარა მინორუ ყოველდღე გამო-  
ბის მამის შესახვედრად გრძელ, ქუჩიან  
ქუჩაზე.

დაღლილი მუშები ჯგუფ-ჯგუფად გა-  
მოდიან ქარხნის ქიშკრიდან, ბევრ მათ-  
განს კარგად იცნობს მინორუ.

— ელოდები? — ეკითხება მას გამხდა-  
რი სატო, — მამაშენიც მოდის!

მამაც გამოჩნდა, მინორუ მირბის და  
ეხვევა, გული დაუშვიდა ბიჭუნას, —  
მამა მასთან არის.

იაპონიის დიდ ქალაქში, ტოკიოში  
ცხოვრობს მინორუ. ქალაქი ლამაზია,  
მრავალი პარკით არის დაბურული.

გარეუბანში კი უზარმაზარი ქარხნის  
მიწები ბოლავენ და ვიწრო ქუჩები მჭკარ-  
ტლით იფარება, აქ საცოდავ ქონებში  
არიან შეხიზნული ქარხნის მუშები. აქ  
ცხოვრობს მინორუც.

სალამოთი მამა გაწევა ტახტზე ხუ-  
ხულაში, სადაც მასთან ერთად ოთხი  
ოჯახი ცხოვრობს. ნოტიო ქარი მოქრის  
ყურედან, ცივა.

— არა უშავს, შვილო, — ეუბნება მა-  
მა, — ჩვენ თავშესაფარი მაინცა გვაქვს.  
ბედნიერებაა, რომ ვმუშაობ...

— ნეტავ სოფელში დავბრუნებული-  
ყავით! იქა სჯობდა! — ამბობს მინორუ.

— იქ უკვე აღარ არის ჩვენი სოფე-  
ლი, — უპასუხებს მამა, — იქ ამერიკელებ-  
მა სახლები აიშენეს ზღვის პირას გან-  
ცხრომისათვის... დაიცადე, ბიჭიკო, უკეთ  
ვიცხოვრებთ.

მაგრამ მინორუ ფიქრობს, ნეტავ შე-  
იძლებოდეს უწინდელი დროის დაბრუ-  
ნება, იმაზე უკეთ ცხოვრება ვერ წარმო-  
უდგენია.

მინორუს მამინ მეტად უყვარდა მა-  
ლალ გორაკზე პაპას გვერდით ჩამოჯდო-  
მა და ზღვისკენ ცქერა.

გაზაფხულის დილას იაპონური სოფ-  
ლის მთელი მოსახლეობა ნაპირზე იყრი-  
და თავს. ფართე ნავეები ნელა მიემართე-  
ბოდნენ ზღვაში, მეთევზეები ნავეში ის-  
ხდნენ და ჩიბუხს აბოლებდნენ.



პაპა თევზის დაქერის დროს მთავარი მეთვალყურე იყო, განთიადიდან აღიოდა გორაკზე და მოკუტუთული თვალეებით გაპყურებდა გაშლილ ზღვას.

... აი, პაპამ ხელით დინჯად მოიჩრდილა თვალები.

წყალზე დიდი მოწითალო ლაქა გამოჩნდა და ნაპირისაკენ წელნელა მოიწვეს.

პაპამ აიღო ორი ალაში და მათი აქნევით ანიშნა ნავზე მყოფ მეთევზეებს: ქაშაყი მოვიდა! მეთევზეები ალმების მოძრაობას თვალყურს ადევნებენ და ქაშაყის ქარავანს ბადით უვლიან.

მინორუ ეხმარება პაპას. პაპა ხან ალაშს მისცემს დასაქნევად, ხან გზავნის ქვევით მეთევზეებთან, იქ მინორუ დედას ხელავს. დედამისი ქალებთან ერთად ეწევა ნავიდან ნაპირზე გადმოგდებულ ბაგირს, რომელსაც მოპყვება ნაგები და თევზით მძიმედ დატვირთული ბადეები.

დედის შრომა რომ მეტად მძიმეა, მინორუმ ჯერ არ იცის, ის ძალიან პატარაა, მას უხარია ბრწყინვალე ცისფერი ზღვისა და ნაპირზე მომუშავე დედის ცქერა.

ნაგები ნაპირს უახლოვდებიან, გრძელ ბადეში ფართხალეებს უამრავი თევზი.

მინორუს არ ესმის, რომ ამ მძიმე შრომაში მეთევზეებს წილად ხვდებათ დაქერილი თევზის ერთი მეოთხედი, დანარჩენი კი მიაქვს ნაგების და ბადეების პატრონს. მაგრამ ბიჭუნამ იცის, რომ დღეს დედა და პაპა გულმშვიდად არიან, — სახლში საქმელი ექნებათ. შინ დაბრუნებისას პაპა ამბობდა:

— შეხედე, მინორუ, მთელ ქვეყანაზე ჩვენი კუთხისთანა ლამაზი არაფერია!

მინორუ ყოველთვის ეთანხმებოდა პაპას სიყვარულით შეპყურებდა ტანმორჩილ ფიქვებსა და ბამბუკის ქალას, რომლის ღია მწვანე ფოთლებქვეშ პაწაწინა სახლები იყო გაფანტული. მინორუ გამხდარი იყო, მზით გარუჯული და ცქვიტი. სახლში ღარიბად ცხოვრობდნენ,

მაგრამ ბიჭუნა სილატაკეს ვერ ამჩნევდა დედა და პაპა ხომ მასთან იყვნენ და უყვარდათ. მინორუს მამა მაშინ ომში იყო.

— იაპონელებს სამი უბედურებისა ემინიათ: ხანძრის, მიწისძვრისა და წყალდიდობისა; თვითეულ ამათვანს შეუძლია დააქციოს ჩვენი მხარე. — ამბობდა პაპა.

არც ერთი ასეთი უბედურება არ მომხდარა მინორუს ბავშვობაში, მაგრამ ერთხელ მათ სოფელში ლამაზი მანქანით მოვიდნენ ამერიკელები. ნაპირზე გაიარა-გამოიარეს, ავიდნენ გორაკზე, საიდანაც პაპა ზღვას გაპყურებდა ხოლმე და მალე ბრძანება მოვიდა, რომ სოფლიდან ყველა გასახლებულიყო...

... მინორუს მამას ტოკიოში მეგობრები ჰყავდა და თავისი ოჯახით მათთან გადასახლდა. ქარხნის მუშად მოწყობა ძლიერ გაძნელდა. შიმშილობდნენ. დედ-მამა მძიმე დღიურ სამუშაოზე დადიოდა და ბიჭუნაც უფრო ჩამოხბა.

ისინი მიწურში ცხოვრობდნენ. ამერიკელებმა ომის დროს ცეცხლგამჩენი ყუმბარებით გადაწვეს მუშათა დაბები. პაპა ტომრით ხელში ქალაქის ქუჩებში დადიოდა, აგროვებდა ლურსმნებს, კონსერვის ქილებს, ყიდა და ცოტაოდენი ბოსტნეული მოჰქონდა სახლში. იგი წელში მოიხარა, თვალეებთან ხშირი ნაოჭები გაუჩნდა, უეცრად მოტყდა და დაბერდა.

მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება მაშინ დაატყდა თავს მინორუს, როდესაც სახლში მიირბინა და ნახა: დედა უძრავად იწვა ქილობზე, თვალეები ღია დარჩენილია...

მინორუ უკვე შეეჩვია ქალაქში სიარულს, ყველგან ხვდებოდა ამერიკელ ჯარისკაცებს; ისინი ფეხგაშვებით უსხდნენ ფეხსაცმლის მწმენდავ იაპონელ ბიჭებს. შედიოდნენ მაღაზიებში, სადაც იაპონელებს შესვლა აკრძალული ჰქონდათ. საუკეთესო სახლები ეჭირათ ამერიკელებს.



იაპონელი რიქშები ქუჩებში დაატარებდნენ ამერიკელებს. დიდ სახლებში ლიფტებიც კი იყო — „მხოლოდ უცხოელებისათვის“. იაპონელები ამერიკელებს უთუოდ ხელს უშლიან. — ფიქრობდა მინორუ. ის ყველგან ხედავდა ამ გაბერილ ხალხს, რომლებიც მას ადამიანის შვილად კი არ თვლიდნენ, არამედ ნიეთად.

— აი, მინორუ, — ეუბნებოდა პაპა, — ამერიკელებმა ჩვენს მხარეში ყველა უბედურება ერთად შემოიტანეს.

ერთხელ, ახალწლის დღეს, მამამ მინორუ ქუჩაში წაიყვანა. მინორუს ძლიერ უყვარდა მამასთან ერთად სიარული. თან დაჰყვებოდა, როდესაც მუშები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ და გაფიცვის აცხადებდნენ. მინორუმ მამისაგან იცოდა, რომ ქარხნების პატრონებს ვაერთიანებული მუშებისა ეშინიათ.

გაფიცვის დღეებში მამა არ მუშაობდა, შინ საქმელი არა ჰქონდათ. მინორუ ისე გახდა, რომ ნეკნები დაეთვლებოდა. მაგრამ მაინც მზიარულად იყო. მამა ამბობდა, რომ მუშები შეერთებული ძალით მოიპოვებენ თავიანთი ქვეყნის პატ-

რონობის უფლებას ისევე, როგორც სტალინის ქვეყანამ მოიპოვა.

ჰოდა, იაპონელთა საყვარელ ახალწლის დღესასწაულზე მამა-შვილი გავიდა ქალაქის ულამაზეს ქუჩაზე. იქ მრავალი მუშა და პოლიციელები გამოსულიყვნენ. მუშებს მოედნებზე და პარკების შესასვლელთან მოეყარათ თავი და აღარავინ ერეებოდა, რადგან იაპონიაში ახალი წელი განსაკუთრებული დღესასწაულია, ყველგან გაისმის მუსიკა და ჰაერში ათასობით ფრანს\*) აუშვებენ ხოლმე.

მამა და მინორუ მუშათა დიდ ჯგუფს შეუერთდნენ.

„სტალინი!“ — მოესმა მინორუს და მრავალმა ადამიანმა შესძახა:

„სტალინი“. სიტყვა „სტალინი“ გაისმოდა ყოველი მხრიდან. ვიღაცამ თქვა: „მოისმინეთ!“ და მამა მინორუმ გაიგო, რომ სტალინმა გუშინ მიმართვა გაუგზავნა იაპონელებს.

მამამისმა ხმაძალდა დაიწყო კითხვა: „... გთხოვთ გადასცეთ იაპონელ ხალხს, რომ მე უუსურვებ მას თავისუფლებასა

\*) ფრანზ — ტრანზი. კალედისა და ტაინისაგან დამზადებული, ჰაერში თოქით ასაშვები გასართობი.



საქართველოს  
წიგნების კავშირი

და ბედნიერებას, რომ ვუსურვებ მას სრულ წარმატებას თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მამაკურ ბრძოლაში“...

მამის ამხანაგი სწრაფი და მარჯვე სატო იღვა პარკის აყვავებულ ბუჩქებთან და უზარმაზარი ფრანი მწვანე მესერზე მიეყრდნო. მას ორი პოლიციელი სხვადასხვა მხრიდან უახლოვდებოდა. სატომ მინორუს თვალით ანიშნა, მინორუმ კი სახელო ჩამოსწია მამას.

მიკთხველის ხმა განმტკიცდა და უფრო მკვეპარედ გაისმა სტალინის მიმართულებით:

„საბჭოთა კავშირის ხალხებს... საესეებით ესმით იაპონელი ხალხის ტანჯვა, დიდად თანაუგრძნობენ მას და სჯერათ, რომ იგი მიადწევს თავისი სამშობლოს აღორძინებასა და დამოუკიდებლობას, ისევე, როგორც ამას მიადწევს თავის დროზე საბჭოთა კავშირის ხალხებმა“...

მინორუ უსმენდა და თან თვალს ადევნებდა სატოს. ერთ-ერთმა პოლიციელმა უხეშად წაჰკრა ხელი სატოს და მის ფრანს კიდევ ჩამოაგლიჯა.

ფრანის იქით გამოჩნდა ლამაზად და-

ხატული სტალინის პორტრეტი. პოლიციელები ცდილობდნენ სატოსათვის პორტრეტი წაერთმიათ. სატოსთან მინორუს მამა გაჩნდა, ერთად არტაცეს პორტრეტი და სწრაფად გადასცეს განაპირას მდგარ მუშას; პორტრეტი ხელიდან ხელში გადადიოდა მუშების თავზე, მუშები ისე შემჭიდროვდნენ, რომ პოლიციელებს აღარ შეეძლოთ ამ ცოცხალი კედლის გარღვევა.

ამ საღამოს მინორუს დიდხანს ვეღარ დაეძინა. ფიქრობდა სტალინზე, ძლიერსა და კეთილ ადამიანზე, რომელმაც იცის იაპონელი ხალხის გაჭირვება.

მან უთუოდ იცის მინორუს მამის შესახებ, რომელმაც დახატა ასეთი კარგი პორტრეტი. იცის აგრეთვე პატარა მინორუს და მისი პაპის, ბებერი, დაქანცული ადამიანის შესახებაც.

აი, პაპა ზის მინორუს გვერდით ქილობზე, შეჰყურებს შვილიშვილს და ამბობს:

— არაფერი არ არის მგეგობრის სიტყვაზე ძვირფასი, ის გვშველის ყოველგვარი უბედურების დაძლევაში.

თარგმანი მ. შრეველიშვილისა





მუჰამან ლაბანიძე

## შემოსულა მაისი

დღლაგეს იასამნები,  
ელაგეს უაუანოები,  
უვაგელეგებში ჩაფლულა  
უველგან სარანოები.

მაისია. გაისმის  
დღეს სიძღურა ნორჩების.  
შემოსულა მაისი  
განაფუხულის დროშებით.

ეს დიადი დროშები  
დღეს სუვევულგან ანთია;  
ღენინი და სტალინი  
ამ დროშებზე მსახტია.

შემოსულა მაისი,  
გამა გვირულ მარტიას, -  
დრომა ღენინ-სტალინის  
ცამდე აღუძართია.





## კ ა ხ ო ვ კ ა შ ი

ბავშვებო! იქნებ თქვენ არ იცით, რა არის ოქროს ყანების გზა? უკრაინის ჩვენი ქვეყნის პურის ბედელს უწოდებენ. ვინც კი ზაფხულში უკრაინის გზებზე გაივლის, განცვიფრდება; ირგვლივ, ვრცელ ველებზე, მართლაც თვალუწვდენი ოქროსფერი ყანების ზღვა ლივლივებს, ამ ოქროს ზღვაში კომბაინები ხომალდებივით დატურავენ და ყანას მკიან. ამიტომ უწოდეს პოეტებმა ოქროს ყანების გზა უკრაინის ვრცელ მინდვრებზე გაქიმულ გზებს.

არც „ცისფერი გზა“ გეცოდინებათ!

თქვენ კი არა, მეც არ ვიცოდი და როცა ამიხსნეს, ეს შედარებაც ძალიან მომეწონა.

„ცისფერი გზა“ მდინარე დნებრისათვის დაურქმევიათ. დნებრი უკრაინის დედამდინარეა. ზაფხულში იგი წყნარი და გამჭვირვალეა, ცისფერი დაჰკრავს მის მოლივლივ ტალღებს.

დნებრზე დიდი სამგზავრო გემები დატურავენ.

გადავწყვიტე, დნებრის „ცისფერი გზით“ წავსულიყავი კახოვკაში.

კიევიდან რომ გავედიოთ, მშვენიერი მთვარიანი საღამო იყო, გრილიადა, მთვარის სწივები „ცისფერ გზას“ ოქროსფრად ავარაყებდა. ორი დღე-ღამის მგზავრობის შემდეგ ზაპოროჟიეს მიადგა ჩვენი გემი. იქ დავათვალიერეთ უდიდესი ელექტროსადგური დნებროჰესი, რომელიც ფაშისტმა ავაზაკებმა ომის დროს დაანგრიეს, მაგრამ საბჭოთა ხალხმა თავდადებული შრომით იგი მოკლებ ხანში აღადგინა. მალე ამ უზარმაზარ ელსადგურს მხარს დაუმშვენებს კახოვკის ელექ-

ტროსადგური, სწორედ ის, რომლის სანახავადაც მე გავემგზავრე.

ზაპოროჟიედან კახოვკამდე თითქმის სამასი კილომეტრია, მანქანით წავედი. მინდოდა იმ გვალვიანი, ურწყავი ადგილების დათვალიერება, რომლებიც კახოვკის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მოირწყვება და აყვავდება.

საშინელი სიცხე იცის ამ ადგილებში. იმის გამო, რომ საჩუყავი არხები არ არის, გვალვიან ზაფხულში ხშირად მოსავალი იღუპება. ირგვლივ მოტიტვლებული ველებია, ხეები არ ჩანს, მხოლოდ ყანები გაქიმულა, — დაუსრულებელი პურიის ყახები.


აქ ნიადაგს ეტყობა, რომ წყალი უჭირს. სიცხის ბული დგას, გზებზე მტკერი ღრუბელივით ტრიალებს, გზისპირებზე ყანა მტკრითაა დაფარული.

აი, კახოვკაში მივედიოთ. კახოვკა საშინა: ძველი კახოვკა, პატარა კახოვკა და ახალი კახოვკა.

შე ახალი კახოვკის ნახვა მაინტერესებდა. სწორედ იქ წარმოებს დიდი მშენებლობა, ამიტომ მაშინვე იქით გავემშურე. სანამ ახალ კახოვკაში მივიდოდი, გზისპირას დამანახვეს სოფელი, რომლის ადგილზე მალე „კახოვკის ზღვა“ იქნება, ნასოფლარი კი წყლით დაიფარება.

პატარა კახოვკელებს ეს სრულიადაც არ აწუხებთ. ახალ ადგილზე მათი დაბინავებისათვის უკვე მიღებულია ზომები. ისინი ახალ, უკეთესად მოწყობილ სახლებში იცხოვრებენ ახალი ზღვის პირას.

ახალი კახოვკა საკმაოდ დიდი ქალაქია. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ გასული, რაც ამ ქალაქის ადგილას მხოლოდ თეთრი ქვიშის ველები და გორაკები მოჩანდა. საბჭოთა ადამიანებმა



მწირ ბუნებას სახე შეუცვალეს: გაიყვანეს მოასფალტებული გზები, წამოჭიმეს ლამაზი საცხოვრებელი სახლები, ააშენეს ქარხნები, თეატრი, საბავშვო ბაღები და სკოლები.

სწრაფად, თითქმის ერთი ხელის დაკვრით აშენდა სოციალისტური ქალაქი. ახალ კახოვკაში დიდი მოძრაობაა, ყველა რაღაცას აკეთებს, ყველა სადღაც მიეშურება, ყველას თითო აგური მიაქვს კომუნისთვის დიადი შენობის ასაგებად!

ახალი კახოვკიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით დნებარზე მიმდინა-

რობს ოთხ კილომეტრ-ნახევარი სიგრძის კაშხალის მშენებლობა. კაშხალი იმ ჯგებირს ეწოდება, რომელმაც ძლიერი დნებარი უნდა შეაჩეროს, შეაგუბოს, რომ მისი ძალა ელექტროენერგიად იქცეს.

ამ ადგილებში მუშაობენ გოლიათი მანქანები: თვითმავალი ექსკავატორები, ბულდოზერები, სკრეპერები. ისინი შეუსვენებლივ თხრიან მიწას, ამზადებენ ადგილს მომავალი წყალსაცავისათვის.

დღედაღამ მუშაობენ მიწისმწოვი მანქანები, რომელთა დანიშნულებაა დიდი



რაოდენობის მიწის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა.

აქ ნახავთ ისეთ ადგილებს, სადაც წინათ დაბურული ქალა ყოფილა, ახლა კი წყალი ზღვასავით ბორბავს, შიგ მიწისმწოვი გემი მოჩანს და ნავები დაცურავენ.

ზოგან კი ნახავთ ადგილებს, სადაც წინათ წყალი ყოფილა, ახლა კი ნაყარი მიწის გორებია მთასავით აღმართული. მალე აქ შეგუბებულნი დნებარი უდიდეს წყალსაცავს შექმნის. ამ წყალსაცავში მოთავსებული წყალი გადამწვარი

გვალეიანი ველებისაკენ მჩქეფარე ნაკადულეზად წავა და ბუნებას გააცოცხლებს. მაშინ, როგორი გვალეაც უნდა დადგეს, უკრაინის ველეაზე მოსავალი მაინც უხვად მოვა.

მალე ამუშავდება კაზოვკის ელექტროსადგური, მისი შუქი დნებროპეტის ძლიერ ენერჯის მიემატება და მთელი უკრაინა სინათლის ჩქერში გაეხვევა.

ასე უცვლის ელფერს საბჭოთა ადამიანი ბუნებას.

ნახატი ზ. კაპანაძისა

# ღაღი და კვაკილები

მინდვრებს დაშვენდა ყვავილთა  
მრავალფერადი ხალიჩა,  
ლალიმ ყვავილი დაკრიფა  
და გული გაიხალისა.

ფრთხილად შეკრა და შეკონა  
მოფერებით და ალერსით,  
რარვად შესჯობრებთან  
სინაზე-სინარნარეში!

გამოეშურა გოგონა  
შინისკენ სვენებ-სვენებით,  
მოვიდა, ბრძენის სურათი  
შეამკო უცხო ფერებით.

და გულს იმეგვრად უთბობდა  
შუქი ბელადის თვალისა,  
როგორც მინდორში მზის შუქი  
დასციმციმებდა ყვავილსა.

ილია სიხარულიძე

## დამეგობრდნენ ბავშვები

ააშენეს ახალი  
სახლი დიდი, მაღალი,  
მრავალსართულიანი,  
ნათელი და მზიანი.

რა ლამაზი სახლია  
და რა კარგად ნაშენი!  
შიგ დასახლდნენ დიდები,  
შიგ დასახლდნენ ბავშვები.

სახლში ლიფტი მუშაობს,  
ლიფტი მოსწონთ პაწიებს,  
უკვირთ: „ზემო სართულზე  
როგორ უცებ აგვიყვებს!“

სიხარულით უფეთქავთ  
ცელქებს ნორჩი გულლები;  
დამეგობრდნენ ბავშვები  
ახალ სახლის მდგმურები.

ნახატი გ. ლაშაშვილი



$$3 - 2 = 1$$

პირველკლასელმა მარინემ დიდ დასვენებაზე აირბინა სკოლის კიბეები და სასაუზნო ოთახში შევიდა.

— დეიდა სოფიო, ორი ცალი ფუნთუში მომეცი! — თავაზიანად სთხოვა მარინემ გამყიდველ ქალს და სამმანეთიანი გაუწოდა.

გამყიდველმა რამდენიმე ბავშვი გაისტუმრა და ახლა მარინეს მიუბრუნდა:

— ინებეთ!

გამყიდველმა მიაწოდა გოგონას თეფშით ორი ფუნთუში და თან ხელში ხურდა ჩაუღო.

ფორმის კაბა რომ არ დაექმუქნა, მარინე სკამზე ფრთხილად ჩამოჯდა სასაუზნოდ, ხურდა კი მაგიდაზე დადო.

— ნეტავი, რად მომეცა დეიდა სოფიომ ორი მანეთი ხურდა? — შეფიქრიანდა პატარა, მაგიდაზე ორ ცალ მანეთიანს რომ შეავლო თვალი.

— მე ორი ფუნთუში ვიყიდე, ფუნთუში კი მანეთი ღირს! სამს გამოვაკლოთ ორი, — დარჩება ერთი! — ჩაიჭურჭულა მარინემ და თავის სიმართლეში რომ დარწმუნებულიყო, ფუნთუში თეფშზე დადო, ცერა თითით ნეკი დააკაე და სამი თითი ჰაერში გაშალა.

— სამს გამოვაკლოთ ორი... — წაიბუტბუტა ისევ მარინემ და სცადა ორი თითი მოეხარა, მაგრამ მესამეც თავისდაუნებურად ეხრებოდა.

მარინემ მეორე ხელი მოიშველია და „არა თითს“ ნება არ მისცა მოხრილიყო.

— სამს რომ გამოვაკლოთ ორი, რასაკვირველია დარჩება ერთი! დეიდა სოფიოს ნამდვილად შეეშალა ანგარიში; ამდენი ბავშვი დავესიეთ და აღარ ვაც-



ლიდით მუშაობას! — დასკვნა გოგონამ და სკამიდან წამოხტა.

— დეიდა სოფიო, მე სამმანეთიანი მოგეცი და ორი ფუნთუში ვიყიდე! ხურდა — მანეთი მერგებოდა, თქვენ კი ორი მანეთი მომეცი... სამს გამოვაკლოთ ორი, — დარჩება ერთი! — დაბეჯითებით უთხრა გოგონამ და მანეთი უკან დაუბრუნა.

— კოჩაღ, პირველკლასელო! ასე უნდა ცოდნის გამოყენება! გმადლობთ, ჩემო პატარავ! — მიუგო დეიდა სოფიომ.



ნანა კანელაკი

ხატები მ. როინიძეისა

# და-ძმა

ირაკლი და მარინე ტყუპები არიან. ორივე უფროსების გამგონი და ყველას მოსიყვარულეა. კვირას და-ძმას შეუსრულდათ ექვს-ექვსი წელი. დედამ მათ სქელუციანი სახატავი რვეულები აჩუქა, მამამ — წითელი სათლელი და ფერადი ფანქრები. და-ძმამ სიხარულისაგან ტაში შემოჰკრა, გადაკოცნეს მშობლები და შეუდგნენ საჩუქრების თვლიერებას; ირაკლიმ მაშინვე დაიწყო ფანქრების თლა, მარინემ კი ფაქიზად გაახვია საჩუქრები ქალაღდში, შეინახა თავის უჯრაში და ამხანაგების მოლოდინში ეზოში ჩაირბინა.

ირაკლი ფრთხილად ატრიალებდა ფანქარს სათლელის ლულაში და უხაროდა, რომ იქიდან კოხტად გათლილი გამოჰქონდა. ექვსივე ფანქრის წათლა რომ

დაასრულა, ჩააწყო ისინი ყუთში და ბისმოყვარეობით შეათვლიერა სათლელი და რატომღაც ძლიერ მოუწინა მისი დაშლა. ფრთხილად მოუშვა ორივე ხრახნი, დააშორა ერთმანეთს სათლელის ნაწილები და გამოიღო მათ შორის მოთავსებული სიფრიფანა, მკრეფი ფოლადის ფურცელი. სათლელის დაშლილი ნაწილები მუხლზე დაიდო და ის იყო დაშლილი ნაწილების აწყობა დააპირა, რომ მამის ხმა მოესმა:

— ირაკლი! მომიტანე შენი სათლელი, ფანქარი მინდა წავთალო.

ირაკლის უნდოდა მამის თხოვნა სწრაფად შეესრულებინა, დაიწყო სათლელის ნაწილების შეერთება, მაგრამ ერთმანეთს ვეღარ მოარგო, ვეღარც ის მოისაზრა, თუ საიდან მოხსნა ხრახნები. სათლელის ნაწილები მუქში მოაგროვა და დაბნეული იდგა ერთ ადგილას. მამამ თხოვნა გაუშეორა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ირაკლი ჩაფიქრდა. უტბად ერთმა აზრმა გაუელვა თავში. იგი ფეხაკრეფით გაიქცა საბავშვო ოთახისაკენ. გამოალო მარინეს უჯრა, ჩაყარა შიგ დაშლილი სათლელის ნაწილები, იქიდან მარინეს სათლელი ამოიღო და გაქანდა მამის ოთახისაკენ.

შუადღისას სტუმრებმა იწყეს შეგროვება. ირაკლის და მარინეს დაბადების დღის მოსალოცად საბავშვო ბაღის მთელი ჯგუფი მოვიდა. ატყდა ერთი ჟრია-მული. დედამ როიალზე დაუკრა ბავშვების საყვარელი სიმღერა; ირაკლი და მარინე უმაღლ აყვნენ დედის ხმას. იქ მყოფმა ბავშვებმაც შეუმჩნევლად დაიწყეს სიმღერა. სიმღერას ცეკვა-თამაში მოჰყვა. ბავშვებმა ლექსებიც თქვეს, ბოლოს პატარა მასპინძლებმა სტუმრები მაგიდასთან მიიპატიეს და თვითონაც დასხდნენ.

როდესაც მოსაღამოვდა, სტუმრები დაიშლნენ. ზოგს დედამ მოაკითხა, ზოგს ბებიამ. და-ძმამ ტახტზე მოიკალათა.

— როგორ მომწონს ჩემი ახალი სა-



თლელი! — თქვა აღტაცებით მარინემ.  
 ირაკლი სათლელის ხსენებაზე წამო-  
 ქარხლდა.

— ისე მოუველი ჩემს სათლელს, რომ  
 იგი სკოლაშიც გამომადგეს, — განაგრძო  
 მარინემ, — შენც მოუვლი შენს სათლელს,  
 ხომ?

ძმამ არაფერი უპასუხა და თავი ჩა-  
 ლუნა.

— რატომ არაფერს მიპასუხებ, ირა-  
 კლი?.. ვიცი, ვიცი! გატეხე ხომ სათლე-  
 ლი?.. გატეხე, გატეხე!.. — იმეორებდა მა-  
 რინე, ტახტიდან ჩამოვიდა და იატაკზე  
 ხტუნვა დაიწყო. მაგრამ, როდესაც ირა-  
 კლის აკრემლებული თვალები შეამჩნია,  
 თანაგრძობით მიმართა: — ნუ ტირი, ნუ  
 ტირი... მე ჩემს სათლელს გაჩუქებ, გინ-  
 და?

— შენს სათლელს მაჩუქებ? — იკითხა  
 გოცემულმა ირაკლიმ.

— არა გჯერა?.. აქ იყავი, ახლაც  
 მოგიტან. — წამოიძახა მარინემ და საბავ-  
 შვო ოთახში გაიქცა.

— მარინე! — დარცხვენით მიაძახა ირაკ-  
 ლიმ დას, მაგრამ მეტის თქმა ვერ მო-  
 ასწრო. თავისი დანაშაული იგრძნო. მან  
 წარმოიდგინა, როგორ ეწყინებოდა მა-  
 რინეს, როდესაც დაშლილ სათლელს ნა-  
 ხავდა თავის უჯრაში და ძლიერ და-  
 ღონდა.

მარინე სირბილით მობრუნდა, ირაკ-  
 ლის ხელში ჩაუდო სათლელი და უთ-  
 ხრა:

— აჰა, შენთვის ჩამიბარებია, მაგრამ  
 ზოგჯერ მეც მათხოვე ხოლმე!

ირაკლიმ გაშალა თითები; დახედა  
 სათლელს და დაბნეულმა წაიბუტბუტა:

— საიდან მოიტანე ეს სათლელი?

— ჩემი უჯრიდან.

ირაკლი გაირინდა და გაკვირვებით  
 დაუწყო სათლელს ყურება.

— აკი გამიტყდაო? — გაიცინა მარი-  
 ნემ, — მომატყუე?.. ასე გაკვირვებით რად  
 მიყურებ?

ოთახში შემოსულმა მამამ ხელმოკლე  
 დახვია ირაკლის და მარინეს ღიმილით  
 მიმართა:

— უკვირს, იმიტომ, რომ მან შენს  
 უჯრაში თავისი დაშლილი სათლელი  
 ჩაგიდო, შენ კი მას მთელი მოუტანე.

— შენ ვინ გითხრა, რომ მე... — წაი-  
 ლულულა ირაკლიმ.

— როდესაც შენ დაიგვიანე და არ  
 მომიტანე სათლელი, გამოვედი ოთახში  
 და ყველაფერი დავინახე... იმედი მქონდა  
 რომ სიმართლეს ეტყოდი მარინეს. მაგ-  
 რამ... ყოჩაღ მარინე! შენ არა მარტო  
 კარგი და, შენ კარგი ამხანაგიც იქნები.  
 ასეთი ამხანაგი ყველასათვის საყვარელი  
 და ძვირფასია.

ირაკლი ერთხანს დარცხვენილი იდ-  
 გა. მერე მიუახლოვდა მარინეს და გადა-  
 ეხვია. მარინემ გადაკოცნა ძმა და ყურში  
 წასჩურჩულა:

— შენც კარგი ამხანაგი იქნები, ხომ!





პაწაწინა იას  
თვალი გაუღია.  
ახლა რომ მობრძანდა,  
გუშინ რად არ ჩანდა?

თურმე შიგ მიწაში  
იყო ჩამალული.  
მზემ რომ დააცხუნა  
და გაუთბა გული,

იგრძნო გაზაფხულდა,  
თვალი გაახილა,  
მოგვიღოცა ყველას  
გაზაფხულის დილა.

ლილია მებრალიძე

## სიტყვა ალერსიანი

ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ, მერცხლებო,  
კუდრაჭებო, ცელქებო;  
საიდან მოფრენილხართ  
ასე დილაადრიან?  
ზღვებისა და მთებს იქით  
გიგულვებდით დარდიანს,  
სამშობლოში მოფრენამ  
გაგინათათ თვალები?

აი, ფართო მინდვრები,  
აი, მწვანე ჭალები,  
ლურჯი ცა და ჩანჩქერი,  
მიწა ოქროსმზიანი...  
თქვენთვის მუდამ მზადა მაქვს  
სიტყვა ალერსიანი.  
ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ, მერცხლებო,  
კუდრაჭებო, ცელქებო!



ნახატები გ. ჟოსხივილითა





მარიკან ალასიძე

## ხატაპური

— დღეს ძალიან გემრიელი ხატაპური გვაქვს! — აღტაცებით თქვა მზიამ.

— დიდდას რომ გავუგზავნიდეთ, კარგი იქნება, იამება — მიუგო დედამ.

— მე წაუღლებ! — წამოიძახა გოგონამ, — ახალ კაბასაც ჩავიცვამ, დიდდას ხომ არ უნახავს, როგორი კაბა შემიკერე.

მზია წამოხტა, ჩითის ახალი კაბა გადაიცვა, სარკეში თმები შეისწორა და დედის წინ გაჩნდა.

დედა სამზადისს შეუდგა: პატარა კალათა გადმოიღწო, შიგ ჩააწყო ათიოდე კვერცხი, ერთი ამოყვანა ჭყინტი ყველი და ზევიდან ქალაღში გამოხვეული მოზრდილი ხატაპური დადო; მერე კალათას სუფთა ტილო გადააფარა და მზიას მიუბრუნდა:

— აჰა, ჩემო მზია! ნელა იარე, კვერცხები არ დაამტვრიო... დიდხანს არ გაჩერდე, აბრეშუმის ქიისათვის ფოთოლი მაქვს დასაკრეფი და მომეხმარები.

დიდელა სოფლის მეორე უბანში ცხოვრობდა და კარგა მანძილი იყო მის სახლამდე.

როგორც კი ვასცილდა მზია ეხოს, ყურშა აედევნა.

მზიას გაეხარდა, რომ თანამგზავრი იშოვა და მიეაღერსა:

— ყურშა, წამოდი, ბებიკოსთან! ხომ გამოძევი?

ყურშა თვალებში შესცქეროდა. თბილი ხატაპურის სუნი აღიზიანებდა და ხან გაუსწრებდა მზიას, ხან ჩამორჩებოდა.

როცა შარავზე გავიდნენ, მზიას ცოტა არ იყოს დასცხა და მოინდომა მუხის ჩრდილში შესვენება.

დაჯდა ბალახზე და-კალათა გვერდით მოიდგა.

ამ დროს ხელში სურით მეზობლის გოგონამ ჩამოიარა.

— ნანა, ნანულა! — დაუძახა მზიამ, — რა იქნება, ცოტა წყალი დამალევირა?

— დალიე, რამდენიც გინდა! — მზიარულად უპასუხა ნანამ, მიიბრინა და სურა გაუწოდა.

მზიამ სურა უცბად მოიყუდა და ახალი კაბა ჩამოიწუწა.

ეწყინა მზიას. წამოხტა, კაბის კალთები დაიბერტყა და მზეზე დადგა კაბის გასაშრობად.

— არაფერია! — ანუგეშებდა ნანა, — არულში გაგიშრება. იცი, მეც მიყიდა.



დელად მაგისტანა ჭრელი ჩითი. ჯერ არ შეუღკრავთ, დედას არ სცალია.

— მე ბამბაზიაც მიყიდეს,—დაიტრა-ბახა მზიამ,—ხამთრისათვის!

— მე კი სკოლისათვის ლურჯი შა-ლის საკაბე.—გახსენდა უტბად ნანას.

— მე კი —აბრეშუმის... როდესაც სკოლას დავამთავრებ, მაშინ შემიყვარ-ვენ.—იტრუა მზიამ.

მზიას კაბა დიდი ხანია გაშრა და გო-გონები კი ბაასს მინც განაგრძნობდნენ. უტბად მზიას გაახსენდა, რომ დიდდელს-თან ძღვენი მიჰქონდა, სასწრაფოდ მიირ-ბინა კალათასთან, ხელი გაუყარა სახე-ლურში და გაიქცა. დიდდელამ შორიდან მოჰკრა თვალი მზიას და ჭიშკართან გა-მოეგება.

— ბებიკო! დედამ თბილი ხაქაპური გამომატანა, აჟე თქვა: იამებოა.

დიდელა გადაეხვია შვილიშვილს და შეუბღზე აკოცა.

— მე შენი ნახვა უფრო გამეხარდე-ბა.—ღომილით უთხრა დიდდელამ და ოთახ-ში შეიყვანა შვილიშვილი. მზიამ თვი-თონ გადახადა კალათას ტილო და სახ-ტად დარჩა: ხაქაპურის ნასახიც არსად იყო.

დიდელამ შეატყო, რომ ბავშვი გულ-ნატყენი დარჩა.

— შვილო! ალბათ დაავიწყდა დედა-შენს ჩადება, ან არ დააცალე და ისე გა-მოიქვეცი.

მზიას გული შინისაკენ უწყვედა: უნ-დოდა გაეგო, რა იქნა ის გემრიელი ხა-ქაპური, რომელიც მის თვალწინ დედამ სათუთად ჩადო კალათაში.

... მზია სახლში დაბრუნდა, დედამ ჰკითხა:

— როგორ დაგხვდა ბებიკო, ხომ კარ-გად არის?

— კარგად... —დაბალი ხმით მიუგო მზიამ.

— იამა ჩემი ხაქაპური?

— ყველი იამა, კვერცხებიც კი...  
ქაპური კი — არა...

— რატომ? — გაუვივრდა დედას.

— რატომ და იმიტომ, რომ არ იყო.

— როგორ თუ არ იყო? გზაში ხომ არ შექამე?

ეს შეკითხვა მზიას ძალიან ეწყინა და ტირილი დაიწყო.

— რა ვატირებს, თქვი სიმართლე! ან იქნებ ამოვაცალეს? ვინ შეგხვდა გზაში?

— ნანა... წყალი დამალევენა, ის არც კი მიჰკარებია ჩემს კალათას.—კეთივნე-ბდა მზია.

— ნანა მავას არ იხამდა... სირცხვი-ლი, მე შენ აღარაფერს დაგავალებ... სადა-ცაა, სკოლაში უნდა წახვიდე და დიდე-დასთან ვერ მიგიტანია ერთი ხაქაპური! ამაზე უფრო გამწარდა მზია და ხმა-მალლა მორთო ტირილი.

ნანამ რომ გაიგო ამხანაგის ტირილი, ლბებზე გადმოხტა ამბის გასაგებად.

დელა განაგრძობდა საყვედურს.

— მე ვიცი, ვინც შექამა ხაქაპური! — უტბად წამოიძახა ნანამ.

დელა-შვილმა გაკვირვებით შეხედა.

— შენ რა იცი?

— ახლა მიხვდი: გზაში რომ მოვდი-ოდი, ხაქაპურის ნატყენები ეყარა და თვი-თონ ყურშას პირში მოზრდილი ნაქერი ეკირა.—უამბობდა ნანა.

გამწარებული მზია მივარდა ყურშას, უნდოდა ეცემა. დელა წასწვდა ხელში და შეაჩერა.

— აბა, რას გაიგებს ყურშა, რისთვის სცემ, მაგან ისაუზმა და ახლა სძინავს, რომ ღამე გვიყარაულოს.

— გვიყარაულოს?... ეგ რა ყარაულია, ხაქ-პური მომპარა... — არა ცხრებოდა მზია და ძაღლის საცემად იწყედა.

— აბა, ნანა და მზია, — თქვა დედამ, — დაესხდეთ და ვიმსჯელოთ, ვინ არის დამნაშავე: მზია თუ ყურშა?!



# მერცხალი

ძველი ზღაპარი

ერთი სახლის ბანზე მერცხალს ბუდე ჰქონდა გაკეთებული. მერცხალი შემოდგომაზე გაფრინდებოდა თბილ ქვეყანაში და გაზაფხულზე უბრუნდებოდა თავის ბუდეს.

გაზაფხულზე მოფრენილმა მერცხალმა ბარტყები გამოჩეკა. მერცხალი მოიტანდა ჭია-ლუას, დაუნაწილებდა თავის ბარტყებს, აქმევდა და ხელახლა გაფრინდებოდა.

ბარტყები წამოიხარდნენ და ფრენას სწავლობდნენ. ერთ დღეს, ფრენის დროს ერთი ბარტყი ძირს ჩამოვარდა. კეთილმა სახლის პატრონმა აიყვანა ხელში, ფრთხილად შეუხვია მოტეხილი ფეხი, მიადგა კიბე მერცხლის ბუდეს და შიგ ჩასვა ფეხშეხვეული ბარტყი.

დაბრუნდა მერცხალი, ნახა, რაც მომხდარიყო და მადლობის ნიშნად აივანს ირგვლივ ჭიკჭიკითა და ფრენით რამდენიმეჯერ შემოუარა; შემდეგ საღდაც გაფრინდა, დაბრუნებისას კეთილი კაცის ფეხთან გოგრის ერთი ცალი თესლი ჩამოავდო. იმ კაცმა აიღო და ბოსტანში დათესა. თესლიდან ამოვიდა მცენარე, გაიზარდა და გოგრა გამოიბა. შემოდგომაზე კაცმა გოგრა მოწყვიტა და შინ მიიტანა, როცა ვაჭრეს, საოცარი რამ ნახეს: გოგრა სავეს იყო თვალ-მარგალიტითა და ოქრო-ვერცხლით.



ეროვნული  
ხელოვნება

კეთილმა კაცმა თქვა; „რად მინდა უშრომლად შექმნილი სიმდიდრე, თავს ისედაც კარგად ვვრძნობ, ამ საუნჯის შექმნაზე მე ოფელი არ მიღვრია“. — დაუძახა ღარიბ-ღატაკთ, ქვრივ-ობლებს და იმათაც გაუნაწილა სიმდიდრე, თან უამბო, რაც მოხდა. დიდის მადლობით წავიდნენ გახარებული მეზობლები.


გაიგო ეს ამბავი მდიდარმა მეზობელმა, შურით აივსო, ძილი დაუფრთხა, მეტი ქონების შექმნის სურვილი არ ასვენებდა.

მეორე გაზაფხულზე მერცხალი ისევ დაუბრუნდა თავის ბუდეს. გამოჩეკა ბარტყები და ერთ დღეს, საზრდოსათვის რომ გაფრინდა, შურიანმა კაცმა ბუდეს მიადგა კიბე, ამოიყვანა ერთი ბარტყი, მოტეხა ფეხი, შეუხვია და ისევ ბუდეში ჩასვა.

მოფრინდა მერცხალი, ნახა ფეხშეხვეული ბარტყი და საღდაც გაფრინდა; მალე ისევ დაბრუნდა და შურიან კაცს, რომელიც აივანზე იცდიდა, გოგრის ერთი თესლი ზედ ფეხთან ჩამოუვდო. გახარებულმა შურიანმა აიღო ხელში გოგრის თესლი და ბოსტანში დათესა. რამდენიმე ხნის შემდეგ გოგრა გაიზარდა, ვეებერთელა გახდა. პატრონს მოთმინება არ ჰყოფნიდა, გოგრას როდის გაჭრიდა და გამდიდრდებოდა.

ბოლოს მოწყვიტა გოგრა, ძლივს მიაგორეს სახლამდე. სულწასულმა შურიანმა გაჭრა შუაზე გოგრა; შუაგულიდან ამოძვრნენ ბაყაყები და ხვლიკები, დაესივნენ ბოროტ კაცს, ისე დაკბინეს და გაასივეს, რომ სულს ძლივს ითქვამდა.

№ 2/262



### თბილისის ტყე

პატარებო, ძია ვანო,  
რომ იცოდეთ, რა კაცია,—  
დღეს მან თავის ხელით დარგო  
ასი ძირი აკაცია.

თბილისის ტყე რომ შენდება,  
უხარია ძია ვანოს,  
უნდა მთელი მკლავის ძალა  
ახალ ნერგებს მოახმაროს.

ზღვა არ გვქონდა, აგერ ისიც!  
ფრთა გაშალეს ხომალდებმა!  
მალე თბილისს კომუნისმის  
დილა კარზე მოადგება.

ჩიტის რმეც რომ არ აკლია,  
ჩვენი თბილის-ქალაქია.

ყდის მხატვრობა ეკუთვნის ალ. გვილოშვილს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, თ. გომეზაშვილი, თ. თუმანიშვილი, მკვდელა მრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგარიანი, თ. სხარულაძე, ნ. უნაფიშვილი, შ. ცხადაძე

Д И Л А—ожомосащный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 5, Май 1963 г. Тбилиси, Лешня 14.  
საბავშვო ჟურნალი. რედაქციის მისამართი. თბილისი, ლეწინის 14. მ. საჩხ. ტელ. 8-37-38  
გამომც. შვეიც. № 113, ზღაბზის შვეიც. № 5471116 ტირაჟი 10.000 ეუ 03400